ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N4

დაბა ქედა **20 ივნისი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ
ჯემალ დავითაძე - კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი;
ინგა ანანიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ნანა ბერიძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

20.06.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	
9	ინგა ანანიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტი;**

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

2. **საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის ანგარიში;**

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

1.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისს N:გ-95.95251507 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება საკითხზე „ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განისაზღვრა 2025 წლის 19 ივნისი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი: 95-95251536; წერილის თარიღი 02.06.2025) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95251671-95; წერილის თარიღი:16.06.2025) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნები გააჩნია.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ,,ქედის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება შენიშვნების გათვალისწინებით.

2.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N6 დადგენილებით საკრებულოს კომისია ანგარიშვალდებულია წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

კომისია საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით, ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 10 კომისიის სხდომა. სხდომებზე განხილული საკითხები ეხებოდა კომისიის კვარტალური გეგმების დამტკიცებას, მერიის სტრუქტურული ერთეულების, მის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციების ანგარიშების მოსმენასა და შეფასებას.

საკითხებთან დაკავშირებით კომისიამ საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარადგინა დასკვნები.

განხილულ იქნა ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი. მერიაში გაიგზავნა წინადადებები გასათვალისწინებლად.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად სოციალური და ჯანდაცვის პროექტების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევის მიზნით. აქტიურად ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილ, კულტურულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

კომისია გაეცნო საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ ორ თემატურ მოკვლევას სკოლამდელი განათლების მიმართულებით:

1. ხარისხიან სკოლამდელ განათლებაზე ყველა ბავშვის თანაბარი ხელმისაწვდომობა;

2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და ადამიანური რესურსების გავლენა ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე.

თემატური მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების, დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებებისა და ზეპირ მოსმენებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავდა და გაიცა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისთვის რეკომენდაციები. ასევე, რეკომენდაციები განკუთვნილია ყველა იმ უწყებისათვის, რომელსაც გარკვეული ვალდებულება და უფლებამოსილება ეკისრება ადრეულ და სკოლამდელ განათლებასთან მიმართებით.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, კომისიის სახით ჩართული იყო ააიპ საორსას მიერ დაორგანიზებულ პროექტში ,,ინკლუზიური ხმები აჭარის რეგიონში", რომლის ფარგლებში განხორციელდა არაერთი საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრა.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ და შშმ პირების მშობლებსა და ოჯახის წევრებს მათი გაძლიერებისა და მხარდაჭერისთვის.

პროექტის მიზანი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზარდთა და დედათა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობის ხარისხის ზრდა.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

3.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
2	ააიპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“ - ს მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“ - ს დირექტორი
3	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ოთარ ხარაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნანა ბერიძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში